ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3230442

ნომერი: AR1478149

თარიღი : 19.04.2017

გაცემის თარიღი : 11.05.2017

გაცნობის თარიღი : 14.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სააკაძე , N 63 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცინცაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კვიტატიანი პ/ნ 62001009767
- სოხუმი ვ.ლაკობას ქ. N 3\53

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 აპრილს №AR1478149 განცხადებით მომართა ალექსანდრე კვიტატიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, სააკაძის ქუჩა, #63, ქ. თბილისი, ცინცაძის ქუჩა, #1, შპს „ტეტრა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.12.13.020.013), შეთანხმდა მრავალფუნქციური (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 27 ივლისიდან 2019 წლის 27 ივლისის ჩათვლით.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორება, კერძოდ, შეთანხმებული პროექტის ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით. ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომების ფართობად 2085.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2712,6 კვ.მ-ის და კომერციულ ფართად 1584.8 კვ.მ -ის ნაცვლად 1487 კვ. მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანებასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 19 აპრილის №AR1478149 განაცხადით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდეს 2712.6 კვ.მ და კომერციულ ფართად 1487 კვ. მ . სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის #2034507 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.